# იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## სილაბუსი

**ფაკულტეტი:** სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის

**სასწავლო კურსის დასახელება:** ინტერნეტ მედია

**სასწავლო კურსის კოდი:**

**სასწავლო კურსის სტატუსი:** სავალდებულო არჩევითი

**ლექტორი:** ასისტენტ-პროფესორი ლ. ძამუკაშვილი
მობ: 893 97 98 33
ელ. ფოსტა: brosset_telavi@yahoo.frსასწავლო კურსის ტიპი: პრაქტიკული

**სასწავლო კურსის ხანგრძლივობა:** ერთი სემესტრი

**კრედიტების რაოდენობა:** 5. საკონტაქტო საათების რაოდენობა 30, დამოუკიდებელი მუშაობისათვის 95

**სასწავლო კურსის წინაპირობა:** სტუდენტს გავლილი უნდა ახალი ამბების მედია.

**სასწავლო კურსის აღწერა:** კურსი გათვლილია ბაკალავრიატის საფეხურის ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებისათვის მე-5 სემესტრში. კურსის ფარგლებში განხილული იქნება ინტერენტჟურნალისტიკის ისტორიის, თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური პრობლემები. კურსი ორიენტირებულია ინტერნეტ-ჟურნალისტიკის წარმოშობის, განვითარებისა და პრაქტიკის ძირითადი მიმართულებებისა და აქტუალური პრობლემების შესწავლისთვის. გაანალიზდება ის ტენდენციები, რაც მასობრივი ინფორმაციის სისტემაში ინტერნეტმედიის წარმოქმნამ განაპირობა. კურსი შედგება სამი აუცილებელი კომპონენტისაგან: ლექციები. დისკუსიები, პრაქტიკული სავარჯიშოებისაგან. ინტერნეტში პროფესიული მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

**სწავლისა და სწავლების მეთოდები**:
კურსი პრაქტიკული ხასიათისაა, რაც გულისხმობს სტუდენტების აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესის მსვლელობაში. კურსის წავლებისას გამოყენებული იქნება ინტერნეტში ჩარშული კომპიუტერები და სხვა საინფორმაციო ტექნოლოგიები, ციფრული ტექნიკა. ყოველ მეცადინეობაზე სტუდენტები მიიღებენ პრაქტიკულ დავალებებს. შეხვედრები იქნება ინტერაქტიული და სტუდენტები მოახდენენ არა მხოლოდ საკუთარი დავალებების პრეზენტირებას, არამედ სხვათა ნამუშევრების განხილვასაც.

**კურსის მიზანია** სტუდენტებს მისცეს საჭირო ინფორმაცია მიმდინარე საგნის შესახებ, რათა სტუდენტებმა განსაზღვრონ საგნის ადგილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემაში. კურსის გავლის შედეგად სტედენტმა უნდა შეძლოს საიტის შინაარსობრივი უზრუნველყოფა, რაც თავის მხრივ ტექსტთან მუშაობას გულისხმობს. ასევე, კურსის მიზანია, სტუდენტს გააცნოს ინტერნეტ ჟურნალისტიკის ისტორია; წარმოდგენა შეუქმნას მის ფუნქციაზე; ჩამოუყალიბოს ცოდნა, თუ როგორ უნდა შექმნას ინტერნეტ ტექსტები; სათაურები ; სხვადასხვა ჟანრში მუშაობა და ა. შ.

**კურსის შედეგად** სტუდენტი ფლობს ინტერნეტ ჟურნალისტიკის საფუძვლებს; ეუფლება ჟურნალისტურ საქმიანობას; სხვადასხვა ჟანრში მუშაობას; ინფორმაციის მოპოვებას და დახარისხება-გამოყენებას; შეუძლია ინტერნეტ-სივრცეში ორიენტირების უნარი; შეუძლია ინტერნეტ-სივრცეში მასალების მოძიება, დახარისხება და ანალიზი; ინტერნეტის პროდუქციის გამოყენება. შეუძლია ინტერნეტ-გამოცემებში, ინტერნეტ-სააგენტოებში, ინტერნეტ-ტელევიზიებში მუშაობა; შესაბამისი საიტების ჟურნალისტური მომსახურება; იცის გლობალურ ქსელში სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის მოძიება საძიებო სისტემების მეშვეობით, დანიშნულებისამებრ გამოყენება და დაარქივება; აქვს პროფესიული სტანდარტების შესაბამისი ონლაინ-პროდუქციის შექმნისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები; შეუძლია ინტერნეტის გამოყენება პერსონალური საინფორმაციო ბანკის შექმნისათვი, მათი განთავსება და შენახვა ინტერნეტის მეშვეობით.

| | | |
|---|---|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** | ფლობს სფეროს ზოგად საბაზისო ცოდნას | გამომუშქვებული აქვს პროფესიული და ინტელექტუალური უნარები; აზროვნებს კრიტიკულიად, აქვს ანალიზის, სინთეზისა და უცნობი მასალის შეფასების უნარი. ფლობს ინფორმაციის მოძიების მეთოდებს საბაზო დონეზე. აქვს მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი;<br><br>იცის აქტუალური, რეზონანსული, სათადარიგო თემების შერჩევა; ინფორმაციის ძირითადი წყაროები და წყაროებთან მუშაობა;<br>აქვს ინფორმაციის წყაროების ცოდნისა და სათანადოდ გამოყენების უნარი _ საჯარო და არასაჯარო ინფორმაციის, ე.წ. ბულვარული ინფორმაციის, დეზინფორმაციის, სენსაციის გამიჯვნა; |

| | | |
|---|---|---|
| | | ფაქტისა და კომენტარის ურთიერთმიმართების განსაზღვრის, ვერიფიკაციის, ფაქტებთან ჟურნალისტური დამოკიდებულებისა და ტენდენციური/მიკერძოებული დამოკიდებულების გამიჯნვის უნარი;<br>news-ის აგება "ექვსი კლასიკური კითხვის" (ხუთიWდა ერთი H) მიხედვით; ე.წ. "ამობრუნებული პირამიდისა" და "ქვიშის საათის" პრინციპები; ადეკვატური სათაურისა და ლიდის შერჩევა; იცის ახალი ამბების გაშუქებასთან დაკავშირებული სამართლებრივი და ეთიკური ნორმების პრაქტიკაში გამოყენება. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** | შეუძლია შესაფერის გარემოში ნასწავლი მასალის პრაქტიკული განხორციება | შეუძლია ზუსტად და გასაგებად წერა. გამომუშავებული აქვს მასალის შეგროვების, ახალი ამბებისა და ტექსტების წერისა და ანალიზს უნარი. შეუძლია ახალი ამბების შეფასება და ახალი ამბების სიუჟეტების შედგენა, მოძიება, ინტერვიურება. იცის პოლიტიკური და პრობლემური ხასიათის სიუჟეტების დაამუშავება. მასალის დროულ ვადებში მომზადება და ჩაბარება.<br>შეუძლია ინტერნეტის მოხმარებით ინფორმაციის მოძიება. ფლობს საჭირო ტექნიკურ ჩვევებს. ფლობს რეპორტაჟის წერასა და მასში ინტერვიუს გამოყენების მეთოდებს.<br>აქვს არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;<br>აზროვნებს კრიტიკულად და აქვს თვითკრიტიკის უნარი;<br>შეუძლია მეტყველების, ამბის გადმოცემის კულტურა;<br>აზრის/თვალსაზრისის ადეკვატური აღქმისა და გაზიარების უნარი;<br>კომუნიკაციის, თანამშრომლობის, გუნდური მუშაობის უნარი;<br>პრეზენტაციისა და |

| | | |
|---|---|---|
| | | თვითპრეზენტაციის უნარი. |
| **დასკვნის უნარი** | შეუძლია ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით სამუშაო პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა | შეუძლიათ ადეკვატური დასკვნების გამოტანა და მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტა.<br>ინტერნეტ მედიაში მუდმივი |
| **კომუნიკაციის უნარი** | შუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ასევე უცხოურ ენას საბაზო დონეზე. | შეუძლია ტექნიკური საშუალებების გამოყენება ახალი ტექნოლოგიების ცოდნის საფუძველზე და სწავლისა და დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში მისი ეფექტური გამოყენება; კომპიუტერის ცოდნა აუცილებელი მოთხოვნაა ახალი ამბების ჟურნალისტისათვის ტექსტებისა და გამოსახულების მოსამზადებლად, რედაქტირებისათვის, მონაცემთა ბაზების შესაქმნელად, ასევე აუცილებელია ციფრული კამერის ხმარება, სურათის კომპიუტერული დამუშავება, ვებგვერდზე მუშაობა, ჩამწერი საშუალებების გამოყენება, მიკროფონისა და ვიდეოკამერის ხმარება, სამონტაჟო პროგრამებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების ცოდნა.<br>ლინგვისტური უნარების დახვეწა მშობლიურ და უცხო ენებაზე. უცხო ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი; |
| **სწავლის უნარი** | შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა. | დამოუკიდებლად და ხელნძღვანელის ხელშეწყობით შეუძლია ინფორმაციის მოძიება და დამუშავება და პროფესიონალი ჟურნალისტების პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით პროფესიული ცოდნის დონის ამაღლება და თვითრეალიზება. |
| **ღირებულებები** | იცნობს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ | ახალი ამბების შეფასება;<br>მოვლენისა და ფაქტის გამიჯვნა; |

| | | |
|---|---|---|
| | ღირებულებებს. | მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამორჩევა; მასალის სწრაფი და ხარისხიანი მოპოვება და გაფილტვრა; მთავარი პრობლემების ხედვა; სიზუსტეზე, სიმართლეზე, სინამდვილეზე ორიენტირებული ინფორმაციის გარჩევა; გადარჩეული მასალის ინტერპრეტაცია და ანალიზი ისტორიულ კონტექსტში; გამოხატვის თავისუფლება პასუხისმგებლობის განცდა; პირადი უფლებების ხელშეუხებლობის პატივისცემა; წყაროების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება პირადი ინტერესების მიმართ დამოუკიდებლობა; ეთიკური სტანდარტების დაცვა. |

სავალდებულო ლიტერატურა:*


1. კუპრაშვილი, ნ. ინტერნეტ ჟურნალისტიკა.
2. დეფლორი, მ., დენისი, ე. (2009). მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისათვის. თბილისი: იმპრესი

3. კოვაჩი, ბ. და როზენსტილი, ტ. (2006) ჟურნალისტიკის ელემენტები. თბილისი: IღEX.
4. ჩოგოვაძე, გ. (2003). ინფორნაცია, ინფორმაცია, საზოგადოება, ადგილი. თბილისი: ნეოსტუდია.
5. Facebook-მა რა ჰქმნა?! ბლოგპოსტების კრებული. (2011). თბილისი:ბაკურ სულაკაურის გამოცემა.
6. იბერი. ე. (1999). რადიოჟურნალისტიკა. თბილისი.
ჰტტპ://წწწ.საკჰელები.გე/ფულლ_ნეწსეს.პჰპ?იდ=117
7. რაზმაძე, ს. (2007). ინტერნეტის თანამედროვე ტექნოლოგიები, თბილისი

8 . ასათიანი, ს. (2011). *ახალი მედია ჟურნალისტებისათვის.* თბილისი: ''სანდროს წიგნები''
9. ასათიანი, ს. (2011). *სოციალური მედია სკოლაში.* თბილისი: ''სანდროს წიგნები''

**შეფასების კრიტერიუმები:**

შეფასების 100 ქულიანი სისტემა შედგება ორი კომპონენტისაგან _ შუალედური შეფასება და საბოლოო გამოცდა, რომელთა მაქსიმალური ქულაა
შუალედური შეფასება _ მაქს. 60%;
დასკვნითი გამოცდა _ მაქს. 40%.

შუალედური შეფასებები განისაზღვრება შემდეგი აუცილებელი კომპონენტების დაცვით:

ორი შუალედური წერა _ მაქსიმალური შეფასება 30% (2X15%). შუალედურ წერაზე სტუდენტებს დავალებად ეძლევათ საერთო ტესტი ან კონკრეტული საკითხი, რომელიც გასული თვის მანძილზე შესწავლილ პროგრამას მოიცავს. შუალედური წერა დაგეგმილია .ყოველი თვის ბოლოს.

ოთხი მოკლე წერითი გამოკითხვა _ მაქსიმალური შეფასება 20% (4X5%). ეს დავალებები მოიცავს ერთი კვირის მანძილზე შესწავლილი მასალის განმტკიცებას. დავალებები ყოველთვის ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე იქნება ორიენტირებული, რაც საშუალებას მოგვცემს დავინახოთ სტუდენტის სუსტი მხარეები და დროულად მოვახდინოთ მათი დაძლევა.

ერთი ზეპირი პრეზენტაცია სემინარზე _ მაქსიმალური შეფასების 10%. საპრეზენტაციო თემები სტუდენტებს წინდაწინ ექნებათ შეთავაზებული და მათ საშუალება მიეცემათ თავად აირჩიონ მათთვის საინტერესო თემატიკა. პრეზენტაციები სემესტრის მანძილზე გადანაწილდება და ყველა სტუდენტი შეძლებს მოხდინოს არჩეული თემის პრეზენტაცია.

პრეზენტაცია ფასდება შემდეგი აუცილებელი კომპონენტების დაცვით:

1. თემის გასაგებად წარმოდგენა _ მაქსიმალური შეფასების 4%;
2. დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა _ მაქსიმალური შეფასების 4%;
3. ვიზუალური საშუალებების გამოყენება _ მაქსიმალური შეფასების 2%.

გამოცდაზე არ დაიშვება სტუდენტი, რომელსაც შუალედური შეფასება 26 ქულაზე ნაკლები ექნება.

A (ფრიადი) _91% და მეტი
B (ძალიან კარგი) _81-90%
C (კარგი) _71-80%
D (დამაკმაყოფილებელი) _61-70%
E (საკმარისი) _51-60%
FX (ვერ ჩააბარა) _41-50%
F (ჩაიჭრა) _42% და ნაკლები.

FX (ვერ ჩააბარა) ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს კიდევ ერთხელ ეძლევა გამოცდაზე დამატებით გასვლის უფლება, ხოლო F (ჩაიჭრა) შეფასების მიღებისას მან ახლიდან უნდა გაიაროს სასწავლო კურსი.

## კურსის სტრუქტურა

1 კვირა:
სასწავლო კურსისა და სილაბუსის გაცნობა სტუდენტებისათვის;
ინტერნეტის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები; ინტერნეტის წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია.ბლიც-გამოკითხვა (წერით) _ როგორ და რისთვის მოიხმარენ სტუდენტები ინტერნეტს; ინტერნეტი _ ახალი გამოწვევა ჟურნალისტიკისა და საზოგადოებისთვის. პორტალები (საინფორმაციო, საძიებო, კორპორაციული და ა.შ.).
მასმედია და მისი შემადგენელი ნაწილები; ინტერნეტ ჟურნალისტიკა, როგორც მას.ინფ. საშუალება და მისი სპეციფიური ნიშნები და მას.ინფ. საშ. ინტეგრაცია ინტერნეტში.
ლიტერატურა:
კოვაჩი, ბ., როზენსტილი, ტ. (2006). გვ.34-38
ჩოგოვაძე, გ. (2003). გვ.80-92
ასათიანი, ს. (2011). სოციალური მედია სკოლაში. გვ. 9-27
ინტერნეტის საშუალებით პრაქტიკული დავალებების შესრულება.

მე-2 კვირა:
ინფორმაციული საზოგადოების სოციოლოგია და ინტერნეტი.
ინტერნეტის როლი საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაში.
ინტერნეტ-მედიის აუდიტორია _ “გლობალური სოფელი”; მასობრივ აუდიტორიაზე ინტერნეტ-მედიის ზემოქმედების სპეციფიკა; სოციალური და ტრადიციული მედია, საფრეთხეები.
სავალდებულო ლიტერატურა:
დეფლორი, მ., დენისი, ე. (2009). გვ.174-177
ჩოგოვაძე, გ. (2003). გვ.88-91
ბრაიანტი, დ.; ტომსონი, ს.
ასათიანი, ს. (2011). სოციალური მედია სკოლაში. გვ. 27-41
პრატიკული სამუშაო სოციალურ ქსელებში.

მე-3 კვირა
ინტერნეტის ენა და გამოსახვის საშუალებების სპეციფიკა:
- ტექსტი და ჰიპერტექსტი;
- ჰიპერტექსტის არქიტექტურა;
- ინტერნეტ-ლექსიკა.
- ტრადიციული მედიასაშუალებებისა და ახალი მედიის გამოსახვითი საშუალებებისა და ენობრივი სპეციფიკის შედარების უნარი.

პრქატიკული მაგალითების განხილვა ინტერნეტსაიტების დახმარებით.

მე-4 კვირა:
ინტერნეტ-ჟურნალისტიკის სპეციფიკა; ვებ-ტექნოლოგიები ჟურნალისტიკაში; ინტერნეტ-მედიის ინტერაქტიურობა და ოპერატიულობა.
ლიტერატურა:
რაზმაძე, ს. (2007).გვ.10-30

მე-5 კვირა:
ჟურნალისტური ვებ საიტები; საინფორმაციო პორტალები. ინტერნეტ-ჟურნალისტიკა ქართულ მედიასივრცეში; ქართული საინფორმაციო პორტალები:
წწწ.პრესა.გე
წწწ.ინტერპრესსნეწს.გე; წწწ.ამბები.გე
წწწ.ნეწსგეორგია.გე;
წწწ.პირწელი.ცომ.გე;
წწწ.მედია.გე და ა.შ.

მე--6 კვირა:
ბლოგი და მისი რაობა; ბლოგები და ბლოგერები; Wordpress-ზე ბლოგის დარეგისტრირება; თანამედროვე ქართული ბლოგები.
ონლაინ-მედიის ფორმატები.
- ვებ-გამოცემები;
- ბლოგები;
- სოციალური ქსელები.

ლიტერატურა;
ასათიანი, ს. (2011). *ახალი მედია ჟურნალისტებისათვის*
ასათიანი, ს. (2011). *სოციალური მედია სკოლაში.* გვ. 41-56. 65-70
Facebook-მა რა ჰქმნა?! ბლოგპოსტების კრებული. (2011).

მე-7 კვირა:
პირველი ელექტრონული გაზეთები საზღვარგარეთ და პროსაბჭოთა სივრცეში. ქართული ინტერნეტ ჟურნალისტიკა; ვებ-გამოცემების ფორმები _ საავტორო პროექტი; ბლოგები.
პრაქტიკული სავარჯიშო: პირადი ინფორმაციის მართვა Facebook-ში.

ლიტერატურა:
ია ანთაძისა და გოგი გვახარიას ბლოგები რადიო თავისუფლების პორტალზე და სხვ.
წწწ.ტავისუპლება.ორგ.გე
2.ჟურნალ ლიბერალის ბლოგები _
წწწ.ლიბერალი.გე
2.პრესა.გე-ს ბლოგები _ წწწ.პრესა.გე
წწწ.მედია.გე
Facebook-მა რა ჰქმნა?! ბლოგპოსტების კრებული. (2011).

მე-8 კვირა:
შუალედური წერა
ინტერნეტ ჟურნალისტიკის ფუნქციები და პრინციპები;
კუპრაშვილი, ნ. (2007). თავი VII

მე-9 კვირა:
ინტერნეტი, როგორც ახალი ამბების გლობალური ტიპი; ახალი ამბების გაშუქება ინტერნეტით; ინტერნეტი - ახალი ამბების მუდმივად განახლებადი წყარო.
კუპრაშვილი, ნ. (2007). თავი VIII

მე-10-11 კვირა:
ტრანსლაციური მედია და ინტერნეტი (რადიო და ინტერნეტი; ტელევიზია და ინტერნეტი; ინტერნეტი და ფოტოჟურნალისტიკა). ტირაჟირებადი მედია და ინტერნეტი; ინტერნეტი პრეს სამსახურების საქმიანობაში;
კუპრაშვილი, ნ. (2007). თავი IV
ასათიანი. ს. (2011). - ახალი მედია ჟურნალისტებისათვის

მე-12 კვირა:
რედაქციათა საქმიანობა ინტერნეტ სივრცეში ელექტრონული ფოსტის საშუალებით;
საინფორმაციო სააგენტოები და ინტერნეტი; კუპრაშვილი, ნ. (2007). თავი V
პრქატიკული მაგალითები. ქართული და უცხოური სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოებისა და მათი ჟურნალისტური მასალების განხილვა

მე-13 კვირა:
საავტორო მედიაპროექტები, ერთი ავტორის ელექტრონული გამოცემები;
ინტერნეტ მედია ჰოლდინგები და ნიუსრუმები;
კუპრაშვილი, ნ. (2007). თავი VI.

მე-14 კვირა:
ინტერნეტ ჟანრების სპეციფიკა; როგორ ვწეროთ ინტერნეტისათვის; მასალის მოპოვება და დამუშავება.
პრაქტიკული მაგალითების განხილვა.

ჰტტპ://წწწ.გუმერ.ინფო/ბიბლიოტეკ_Bუკს/Gურნ/Lყკ/ინდეხ.პჰპ
ჰტტპ://კებატი.რუ/ჯოურნ/ჯოურნ.პდფ

მე-15 კვირა:
მასალის გამეორება
შუალედური წერა